საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს
გ ა ნ კ ა რ გ უ ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2023 წლის 30 იანვარი**

დისციპლინური საქმე №17/21
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- 2021 წლის 18 თებერვლის №17 საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 23 თებერვლის №58/17-03 წერილით მოსამართლეს ეცნობა მის მიმართ საჩივრის შემოსვლის და დისციპლინური სამართალწარმოების დაწყების შესახებ ინფორმაცია და განხორციელდა საქმის მასალების გამოთხოვა.

დასკვნის მომზადების დროისთვის დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 8 აპრილის №17/21 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლეს საბჭოს განსახილველად წარედგინა 2023 წლის 30 იანვრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორის განცხადებით, მოსამართლემ ვადის დარღვევით ჩააბარა დასაბუთებული გადაწყვეტილება. ამასთან, არაერთი წერილობითი თხოვნის მიუხედავად მოსამართლეს დღემდე არ ჩაუბარებია სააღსრულებო ფურცელი.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

2.1. 2019 წლის 21 ოქტომბერს -- -- სარჩელით მიმართა -- -- სასამართლოს, მოპასუხის - -- -- მიმართ თანხის დაკისრებისა და იპოთეკის საგნის რეალიზაციის მოთხოვნით. 2019 წლის 8 ნოემბერს მოპასუხე მხარემ სასამართლოში წარადგინა შესაგებელი.

2020 წლის 23 იანვარს მოსარჩელე მხარემ სარჩელის უზრუნველყოფის ღონისძიების გამოყენების მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. 2020 წლის 14 თებერვალს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის უზრუნველყოფის შესახებ განცხადების განუხილველად დატოვების თაობაზე.

სასამართლო სხდომები გაიმართა 2020 წლის 30 ივნისს, 24 სექტემბერს, 17 დეკემბერსა და 21 დეკემბერს. 2020 წლის 21 დეკემბერს სასამართლომ მიიღო განჩინება სარჩელის ნაწილობრივ განუხილველად დატოვების შესახებ. კერძოდ, -- -- სარჩელის მესამე სასარჩელო მოთხოვნის ნაწილში (პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილების დაუყოვნებლივ აღსასრულებლად მიქცევა), გამოხმობის გამო, დარჩა განუხილველი. 2020 წლის 21 დეკემბერს სასამართლომ მიიღო გადაწყვეტილება სარჩელის ნაწილობრივ დაკმაყოფილების შესახებ.

2021 წლის 21 იანვარს მოსარჩელე მხარემ დასაბუთებული გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. მხარეს გადაწყვეტილება გაეგზავნა 2021 წლის 8 თებერვალს.

2021 წლის 4 თებერვალსა და 16 თებერვალს მოსარჩელე მხარემ სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით განცხადებები წარადგინა სასამართლოში. 2021 წლის 10 მარტს მოსამართლემ მხარეს ჩააბარა სააღსრულებო ფურცელი.

2.2. 2021 წლის 1 თებერვალს მოსარჩელე მხარემ სააპელაციო საჩივარი წარადგინა სასამართლოში.

2.3. სტატისტიკური მონაცემების თანახმად, მოსამართლე -- -- 2019 წელს განსახილველად ეწერა 898 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა 679 სამოქალაქო საქმე (75%), ხოლო 2020 წელს განსახილველად ეწერა 712 სამოქალაქო საქმე, საიდანაც დაასრულა 439 სამოქალაქო საქმე (61%).

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2021 წლის 8 აპრილის დასკვნა:

2021 წლის 18 თებერვლის №17 საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით (მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა) განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს.

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმებისა და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ საქართველოს საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითად დარღვევა.“

იმისათვის, რომ დადგინდეს ჰქონდა თუ არა ადგილი მოსამართლის მიერ შესაბამისი გადაცდომის ჩადენის ფაქტს საჭიროა სამართლებრივი შეფასება მივცეთ მოცემულ საქმეზე დადგენილ ფაქტობრივ გარემოებებს და შევაფასოთ კონკრეტული ფაქტები შეიცავენ თუ არა დისციპლინური გადაცდომის ნიშნებს. ამასთან, მნიშვნელოვანია განისაზღვროს რას წარმოადგენს - საპროცესო კანონმდებლობით დადგენილი ვადის არასაპატიო მიზეზით არსებითი დარღვევა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტის თანახმად, ვადის დარღვევის მიზეზი არასაპატიოდ არ ჩაითვლება, თუ მოსამართლემ აღნიშნული ვადის დაცვა ობიექტურ გარემოებათა (საქმის სიმრავლე, საქმის სირთულე და სხვა) გამო ვერ შეძლო. არსებითად დარღვევად უნდა ჩაითვალოს მოსამართლის ისეთი ქმედება, რომელმაც ზიანი მიაყენა მხარეს, სასამართლოს ან საჯარო ინტერესს.

სასამართლოს ხელმისაწვდომობა გულისხმობს არა მარტო სამართალწარმოების დაწყების უფლებას, არამედ, საქმის გადაწყვეტის უფლებასა და საბოლოო გადაწყვეტილების აღსრულებას. სამართლიანი სასამართლოს უფლება თავის თავში მოიაზრებს სასამართლოს გადაწყვეტილების აღსრულებას, რომლის საშუალებითაც ხდება დარღვეული უფლებების სრულად აღდგენა.

აქვე მნიშვნელოვანია, რომ ადამიანის უფლებათა ევროპულმა სასამართლომ საქმეზე აპოსტოლი საქართველოს წინააღმდეგ განმარტა, რომ მე-6 (§1) მუხლი ნებისმიერ პირს აძლევს შესაძლებლობას, სასამართლოს წარუდგინოს თავის სამოქალაქო უფლებებთან და მოვალეობებთან დაკავშირებული საჩივარი (Apostol v. Georgia, §54). ამასთან, სასამართლოსათვის საჩივრის წარდგენის უფლება არ არის თეორიული უფლება და არ უზრუნველყოფს მხოლოდ უფლების აღიარებას საბოლოო გადაწყვეტილების მეშვეობით, არამედ, ასევე, შეიცავს ლეგიტიმურ მოლოდინს იმასთან დაკავშირებით, რომ გადაწყვეტილება აღსრულდება. მხარეთა ეფექტიანი დაცვა და კანონიერების აღდგენა გულისხმობს ადმინისტრაციული უწყებების მიერ კანონიერ ძალაში შესული სასამართლო

გადაწყვეტილებების აღსრულების ვალდებულებას (Hornsby v. Greece, §40). მართლმსაჯულების ცხადად აღსრულება ხელს უწყობს მე-6 მუხლის 1-ლი პარაგრაფის მიზნის, კერძოდ, სამართლიანი სასამართლოს მიღწევას (Diennet v. France, §33; Martinie v. France [GC], §39).

მაშასადამე, სასამართლოს გადაწყვეტილების ეფექტური აღსრულების შესაძლებლობა სამართლიანი სასამართლოს უფლების მნიშვნელოვანი უფლებრივი კომპონენტია, რომელიც თავის თავში მოიაზრებს გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლებასაც. გასაჩივრების უფლების რეალიზებისთვის აუცილებელია მხარეს ჩაბარდეს დასაბუთებული გადაწყვეტილება/განჩინება, რათა დაიცვას კანონმდებლობით მინიჭებული უფლებამოსილება. საკონსტიტუციო სასამართლოს განმარტებით, სასამართლოსადმი მიმართვა არ იქნება სრულყოფილი უფლებადაცვითი საშუალება, თუ პირს არ ექნება სათანადო საკანონმდებლო გარანტიები, რომ მის სასარგებლოდ გამოტანილი და კანონიერ ძალაში შესული სასამართლოს გადაწყვეტილება დროულად და ჯეროვნად აღსრულდება.[1]

საჩივრის ავტორის მტკიცებით, მოსამართლე -- -- გააჭიანურა გადაწყვეტილების მხარისთვის ჩაბარების კანონით განსაზღვრული ვადა. ამასთან, არაერთი წერილობითი თხოვნის მიუხედავად მოსამართლეს დღემდე არ ჩაუბარებია სააღსრულებო ფურცელი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 257-ე მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან 14 დღის ვადაში სასამართლო ამზადებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მხარეთათვის გადასაცემად. ასევე, ამავე კოდექსის 259[1] მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, თუ გადაწყვეტილების გამოცხადებას ესწრება გადაწყვეტილების გასაჩივრების უფლების მქონე პირი, ან თუ ასეთი პირისათვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით ცნობილი იყო გადაწყვეტილების გამოცხადების თარიღი, გადაწყვეტილების გასაჩივრების მსურველი მხარე (მისი წარმომადგენელი) ვალდებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო ნაწილის გამოცხადებიდან არაუადრეს 20 და არაუგვიანეს 30 დღისა გამოცხადდეს სასამართლოში და ჩაიბაროს გადაწყვეტილების ასლი. წინააღმდეგ შემთხვევაში გასაჩივრების ვადის ათვლა დაიწყება გადაწყვეტილების გამოცხადებიდან 30-ე დღეს. ამ ვადის გაგრძელება და აღდგენა დაუშვებელია.

არსებული საქმის მასალებით დასტურდება, რომ სასამართლომ გადაწყვეტილება მიიღო 2020 წლის 21 დეკემბერს. 2021 წლის 21 იანვარს მოსარჩელე მხარემ გადაწყვეტილების ჩაბარების მოთხოვნით განცხადება წარადგინა სასამართლოში. მხარეს გადაწყვეტილება გაეგზავნა 2021 წლის 8 თებერვალს. რის შემდგომაც, 2021 წლის 4 თებერვალსა და 16 თებერვალს მოსარჩელე მხარემ სააღსრულებო ფურცლის გაცემის მოთხოვნით განცხადებები წარადგინა სასამართლოში. 2021 წლის 10 მარტს მოსამართლემ მხარეს ჩააბარა სააღსრულებო ფურცელი. შესაბამისად, მოსამართლემ მხარეს დასაბუთებული გადაწყვეტილება ჩააბარა 17 დღის დაგვიანებით, ხოლო სააღსრულებო ფურცელი მოთხოვნიდან დაახლოებით 1 თვის ვადაში. ამდენად, მხარისთვის დასაბუთებული გადაწყვეტილებისა და სააღსრულებო ფურცლის ჩაბარების ვადა არ შეიძლება მიჩნეულ იქნას არაგონივრულად ხანგრძლივ ვადად. ამასთან, გადაწყვეტილების დაგვიანებით ჩაბარებამ არ გამოიწვია მხარის კანონიერი უფლების შეზღუდვა - გაესაჩივრებინა პირველი ინსტანციის სასამართლოს მიერ მიღებული გადაწყვეტილება.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას

[1] საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს 2019 წლის 14 ნოემბრის 2/5/879 გადაწყვეტილება ზურაბ სვანიძე საქართველოს პარლამენტის წინააღმდეგ, II-8

მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს სრული შემადგენლობის უმრავლესობა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ, დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების შესწავლისა და გამოკვლევისას დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად, მიიჩნია, რომ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების ერთობლიობა, დასაბუთებული ვარაუდის სტანდარტის შესაბამისად, არ ქმნის საკმარის ფაქტობრივ (მტკიცებულებით) საფუძველს ვარაუდისათვის, რომ მოსამართლე -- -- ჩაიდინა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75^{1} მუხლის მე-8 პუნქტის „ვ.ა“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომა. შესაბამისად, 2023 წლის 30 იანვარს სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 10 წევრთაგან 9 ხმით), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75^{12} მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №17/21 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

ნიკოლოზ მარსაგიშვილი

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი